

ყველა რისკის დაზღვევა
(მატერიალური ზიანი)

მზღვეველი თანახმაა (წინამდებარე პირობებში მითითებული ვადების, პირობებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით) დამზღვევის მიერ გრაფიკით გათვალისწინებული პრემიის პირველადი გადახდის შემდეგ, აანაზღაუროს დაზღვეული ქონების შემთხვევითი ფიზიკური დაზიანება, განადღურება, დაკარგვა გარდა გამონაკლისის შემთხვევებისა, თუ ასეთ შემთხვევა დადგა პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

მზღვეველის პასუხისმგებლობა, ნაწილობრივი ან სრული ზიანის შემთხვევაში არ აღემატება

- (i) პოლისში მითითებულ სადაზღვევო თანხას
- (ii) პოლისში მითითებული ნებისმიერი პასუხისმგებლობის ლიმიტს.

1 გამონაკლისები

A.1.1

წინამდებარე პირობები არ ფარავს:

A.1.1.1 დაზღვეული ქონების დაზიანებას, რაც გამოწვეულია:

A.1.1.1.1 (i)

დეფექტური ან დაზიანებული მასალისაგან ან ხელობის ნაკლით, პერმანენტული გაუარესებით, ბუნებრივი ცვლით, დეფორმაციით

- (ii) წყალმომარაგების, გაზის, ელექტროენერგიის, საწვავის შეწყვეტით ან დაზღვეულ შენობაში შემავალი ან გამავალი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებიდან წყლის დინებით ან გაჟონვით.

A.1.1.1.2 (i) შენობის დანგრევით კოლაფსით ან გაბზარვით

- (ii) კოროზიით, დაჟანგვით ან ცვლილებებით ტემპერატურაში, ნესტით, სიმშრალით, სველი ან მშრალი დამპალი ხავსით, გამოშრობით, აორთქლებით, მასის კლებით, დაბინძურებით, ფერის, სუნის, ტექსტურის ან ფორმის სცვლით, პარაზიტების მოქმედებით, დამახინჯებით ან გაჩხაპნვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია დაზღვეული ქონების ან იმ შენობის, სადაც იმყოფება დაზღვეული ქონება, დაზიანებით და ამ უკანასკნელის მიზეზი არ არის აღნიშნული პოლისში გამონაკლისის სახით.

A.1.1.1.3

- (i) ქურდობით იმ შემთხვევაში თუ არ ფიქსირდება ძალადობით და ძალისმიერი მეთოდებით შეღწევა, როდესაც შესვლის ადგილზე არ არსებობს ამგვარი შეღწევის აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტები.

- (ii) თაღლითობით ან არაკეთილსინდისიერი ქმედებებით

- (iii) გაუჩინარება, აუხსნელი ან ინვენტარული დეფიციტი,

მონაცემების და ინფორმაციის დაკარგვა, მასალების მიწოდების ნაკლებობა ან დანაკლისი ბეჭდვითი ან საბუღალტრო შეცდომის გამო

- (iv) ბოილერების, ეკონომაიზერების, გემების, მილების გაზარვა, შეჯახება, დაზიანება ან გადახურება, გაჟონვა და მათი შედუღების ადგილების გახსნა.
- (v) მექანიკური ან ელექტრო ავარია, მანქანა-დანადგარების გაუმართაობა
- (vi) წყლის ავზების დანადგარების ან მილსადენების გასკდომა, გადმოღვრა ან ჟონვა, როდესაც შენობა ცარიელი ან გამოუყენებელია

თუ

- (i) ასეთი დაზიანება გამოწვეულია დაზღვეული ქონების ან იმ შენობის, დაზიანებით სადაც იმყოფება დაზღვეული ქონება, და ამ უკანასკნელის მიზეზი არ არის წინამდებარე პირობებში/პოლისში გამონაკლისის სახით.

A.1.1.1.4

- (I) სანაპირო ან მდინარის ეროზია
- (ii) მიწის ზედაპირის მოძრაობამიწის ან ნიადაგის დაჯდომა ან მეწყერი;
- (iii) გრუნტის ან თვით შენობის დაჯდომით ან დამატებითი კონსტრუქციების მიშენებით;
- (iv) მოძრავ ქონებაზე ღია ან ღია ხედიან შენობებზე, ღობეებზე და ჭიშკრებზე ან მწვანე სახლებზე ზიანი გამოწვეული ქარით, წვიმით, შტორმით, ყინვით, თოვლით, წყალდიდობით, ქვიშით ან მტვრით;
- (v) გაყინვით გამაგრება ან გაღლობილი მასალების გაუფრთხილებელი დაღვრით/დაქცევით.

A.1.1.2 ზიანი, რომელიც წარმოიშვა ან შედეგია:

- (i) დამზღვევის ან დამზღვევის სახელით მოქმედი სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების;
- (ii) საქმიანობის შეჩერებით, დაგვიანებით ან ბაზრის დაკარგვით, ან სხვა მსგავსი თუ არაპირდაპირი დანაკარგებით ან სხვ.

A.1.1.3

ზიანი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იყო გამოწვეული შემდეგი შემთხვევების გამო ან მათ შედეგად, კერძოდ:

- (i) ომი, მტრული მოქმედებები, საომარი მდგომარეობა (მნიშვნელობა არა აქვს ომი გამოცხადებული იქნება თუ არა ოფიციალურად), სამოქალაქო ომი;
- (ii) ბუნტი, სამოქალაქო მღელვარება, აჯანყება, რევოლუცია, საომარი ან საოკუპაციო მოქმედებები, საომარი მდგომარეობა; სახელმწიფოს, საზოგადოების ან ადგილობრივი მმართველობის მიერ ქონების კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია, განადგურება ან ქონების დაზიანება;
- (iii) ყველანაირი ტერორისტული აქტი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც კავშირშია ან მოქმედებს რომელიმე ორგანიზაციის სახელით.

ამ გამონაკლისის A.1.1.3 (iii) მიზნით, "ტერორიზმი" ნიშნავს ძალადობის გამოყენებას, პოლიტიკური მიზნებისთვის და მოიცავს ძალადობის გამოყენებას, საზოგადოების ან საზოგადოების რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით

- (iv) (ა) მუდმივი ან დროებითი გამოსახლება, რომელიც გამოწვეულია კონფისკაციის რაციონალიზაციის ბრძანებით ან ნებისმიერი კანონიერად უფლებამოსილი ორგანოს მიერ
(ბ) მუდმივი ან დროებითი გამოსახლება ნებისმიერი შენობიდან, რის შედეგადაც მოხდა, ამგვარი შენობის უკანონოდ დაკავება, ნებისმიერი პირის მიერ

- (v) საკუთრების განადგურება ნებისმიერი საჯარო ხელისუფლების განკარგულებით.

ნებისმიერი სასამართლო საქმე, სარჩელი ან სხვა წარმოება, სადაც მზღვეველი აცხადებს, რომ ზემოთმოცემული გამონაკლისების A.1.1.3 (i) (ii) და (iii) დებულებების მიზეზით, ნებისმიერი დანაკარგი, განადგურება ან დაზიანება არ არის დაფარული ამ დაზღვევით, ამგვარი დანაკარგის, განადგურების ან დაზიანების მტკიცების ტვირთი უნდა დაიფაროს დაზღვეულის მიერ.

A.1.1.4 ზიანი, რომელიც დადგა ან შედეგია:

- (i) ბირთვული იარაღის მასალით
- (ii) რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით

A.1.1.5 NMA 2342 გაჟონვის & დაბინძურების გამონაკლისი დებულება NMA 2342

A.1.1.6 წინამდებარე დაზღვევის არ იფარება: პირდაპირი ან არაპირდაპირი ზარალი ან ზიანი გამოწვეული კიბერ რისკების შედეგად.

ქონების დაზიანება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნიშნავს დაზღვეული ქონების ფიზიკურ დაზიანებას. ქონების ფიზიკური დაზიანება არ მოიცავს და, შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით არ იფარება, მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთ ზიანს, რომელიც იწვევს საზიანო ცვლილებებს მონაცემთა ბაზებში, პროგრამულ თუ სხვა კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემებში და გამომდინარეობს მონაცემთა წაშლით, არაკეთილსინდისიერი და თაღლითური გზით მათი შეცვლით ან განადგურებით.

შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით არ იფარება:

- ა) მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთი ზიანი თუ ზარალი, რომელიც იწვევს საზიანო ცვლილებებს მონაცემთა ბაზებში, პროგრამულ თუ სხვა კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემებში და გამომდინარეობს მონაცემთა წაშლით, არაკეთილსინდისიერი და თაღლითური გზით მათი შეცვლით ან განადგურებით და ამის შედეგად დამდგარი საქმიანობის შეჩერებისგან წარმოქმნილი ხარჯები. აღნიშნული გამონაკლისის მიუხედავად, წინამდებარე პირობების მიხედვით დაიფარება მონაცემთა ბაზების ან პროგრამული სისტემების ისეთი ზიანი თუ ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ქონების ფიზიკური დაზიანების შედეგად.
- ბ) ზიანი ან ზარალი, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ბაზების ან პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების ფუნქციის გაუარესებით, მოშლით, დაკარგვით, ვერ გამოყენებით ან დაზიანებით და მისგან გამომდინარე საქმიანობის შეჩერების ხარჯები.

A12 გამონაკლისი ქონება
წინამდებარე პოლისი არ ფარავს

A.1.2. (i)

ფული, ქვითრები, მარკები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო ბარათები, ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები, ძვირფასი მეტალები, ძვირფასი ბეწვეული, იშვიათი და ექსკლუზიური ნივთები, იშვიათი წიგნები ან ხელოვნების ნიმუშები, თუ ისინი სპეციალურად არ არის მითითებული დაზღვევის ხელშეკრულებაში და იზღვევა მხოლოდ ქვემოთ მოცემული რისკებისაგან;

(ii) მინა (გარდა ფიქსირებულისა), ფაიფურის, ფაიანსი, მარმარილოს ან სხვა ადვილად მსხვრევადი ნივთები;

მაგრამ ეს არ გამორიცხავს ზიანს (არც სხვაგვარად გამორიცხულია), რაც გამოწვეულია ხანძრით, ელვით დაზიანებით, აფეთქებით, საავიაციო კომპანიების აქციებით, ბუნტით, გაფიცვებით, დათხოვილი მუშების, პირების შემთხვევაში, რომლებმაც განიცადეს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით ან ცხოველებით ზემოქმედება, მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, აფეთქებით, გადმოღვრით, დაცლით ან წყლის ავზების, მოწყობილობების ან მილსადენების გაჟონვით.

A.1.2.2

თუ სპეციალურად არ იქნებიან მითითებული სადაზღვევო პოლისში როგორც მინდობილი ან კომისიაზე გადაცემული საქონელი, დოკუმენტები, მანუსკრიფტები, საქმიანი წიგნები, კომპიუტერული სისტემები, ჩანაწერები, ნახაზები, ფორმები, მოდელები, გეგმები, დიზაინი, ასაფეთქებლები;

A.1.2.3

- (i) ლიცენზირებული საგზაო ტრანსპორტი, (თავისი აქსესუარებით), ფურგონი, ტრაილერი, მსაზმელები, რკინიგზის ლოკომოტივები, საწყლო ხომალდები, თვითმფრინავი, კოსმოსური ხომალდი ან სხვა მსგავსი
- (ii) გადაზიდვაში მყოფი ქონება, გარდა პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვეული შენობის ფარგლებში გადაზიდვებისა
- (iii) დანგრევის, აშენების ან მონტაჟის პროცესში მყოფი ქონება ან/და ამასთან დაკავშირებული ნივთები და მასალები;
- (iv) მიწა (მათ შორის ნიადაგის ზედაპირი, სადრენაჟო არხი, წყლის გამტარი მილი) გზა, ტროტუარი, ბილიკები, სარკინიგზო ხაზები, კაშხალი და რეზერვუარი, არხები, ჭაბურღილი, ჭები,

მილსადენები, გვირაბები, ხიდები, დოკები, დამბა, ქვაბულები, ნავმისადგომი, მადაროები, მიწისქვეშა ქონება, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აღნიშნული სპეციალურად დაზღვეულია ამ დაზღვევის ხელშეკრულებით და პოლისით;

- (v) ცხოველები, მარცვლეული კულტურა და ხეები;
- (vi) ქონება, რომელიც დაზიანდა მასზე ზემოქმედების პროცესში;
- (vii) მანქანა - დანადგარები ინსტალაციის, გადატანის ან გადაადგილების, მოხსნის (დემონტაჟი და მონტაჟი) ან გადაკეთების პროცესში, თუ ეს პროცესი უშუალოდ მოქმედებს მათზე;
- (viii) ქონება, რომელიც არის რაიმე ცვლილების, შეკეთების, ტესტირების ან ინსტალაციის პროცესში, რაც ასევე შეიცავს ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ მასალებს. მათზე დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას თუ იგი გამოწვეულია იმ რისკით რომელიც დაზღვეულია სადაზღვევო პოლისით. ქონება უფრო კონკრეტულად დაზღვეული

A.1.2.4 არ ანაზღაურდება ზარალი დამდგარი იმ ქონებაზე რომელიც ზარალის დადგომის დროს დაზღვეულია ან/და დაზღვეული უნდა ყოფილიყო საზღვაო პოლისით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამდგარი ზარალი აღემატება იმ სადაზღვევო თანხას, რომელიც დაზღვეულია საზღვაო პოლისით და სრულად გამოიყენებოდა სანამ არ ამოქმედდებოდა დამატებით წინამდებარე დაზღვევაც

A.1.2.5 ბოილერების, ეკონომიზერების, ტურბინების ან სხვა ქვაბების, მანქანა-დანადგარებისა და აპარატების, სადაც წნევა გამოიყენება, ან მათი შიგთავსის დაზიანება აფეთქების ან გასკდომის შედეგად.

B.1 არასრული დაზღვევა

თუ ზარალის დადგომისას აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ქონების ჯამური ღირებულება აღემატება სადაზღვევო თანხას, მაშინ გამოიყენება პროპორციულობის პრინციპი და მზღვეველის მიერ ანაზღაურებული იქნება ზარალის მხოლოდ ის პროპორცია, რომელიც დადგინდება სადაზღვევო თანხასა და დაზღვეული ქონების ჯამური ღირებულების თანაფარდობით. დაზღვევის პოლისში (ხელშეკრულებაში) მითითებული ყველა ნივთი (თუ ერთზე მეტია) ექვემდებარება წინამდებარე პირობას.

C.1 ფრანშიზა

წინამდებარე პირობებით არ ექვემდებარება სადაზღვევო დაფარვას ის თანხები, რომლებიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით დადგენილი ფრანშიზის ოდენობას ყოველ და ყველა შემთხვევაზე. ფრანშიზის გამოყენება ხდება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ყველა პირობის (პროპორციულობის ჩათვლით) გამოყენების შემდეგ.

D.1 ზოგადი პირობები

D.1.1 იდენტიფიკაცია

წინამდებარე პირობები და დაზღვევის პოლისი (რომელიც წინამდებარე პირობების განუყოფელი ნაწილია), განიხილება ერთად, როგორც ერთი კონტრაქტი, სიტყვა, აზრი, რომელზეც სპეციფიკური განმარტებები იქნა დართული და ყველა შემთხვევაში მას ექნება ერთი და იგივე მნიშვნელობა.

D.1.2 ცდომილებები

იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, დასაზღვევი ქონების ან იმ ტერიტორიის, სადაც იმყოფება დასაზღვევი ქონება, აღწერაში დაუშვებს შეცდომებს ან მას გამორჩევა რაიმე ფაქტის მითითება, რამაც შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს რისკის ხარისხზე და/ან გამოიწვიოს ზიანის დადგომა, მაშინ მზღვევლი იხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას აღნიშნულთან დაკავშირებით და იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს ის ზიანი, რომლის მიზეზიც არის მსგავსი შეცდომის ან არასწორი აღწერის დროს გამორჩენილი გარემოება ან ფაქტი.

D.1.3 გაუქმება

დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა ხდება დამზღვევის წერილობითი განაცხადის საფუძველზე;

მზღვევლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამზღვევს წერილობით ეცნობება ხელშეკრულების გაწყვეტამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე;

დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას დამზღვევი ვალდებულია, გადაიხადოს გამომუშავებული პრემია და ანაზღაურებული ზარალის და სადაზღვევო თანხის ფარდობითი წილი სრული პრემიიდან, მაგრამ არაუმეტეს სრული პრემიისა;

პოლისი შეიძლება გაუქმდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, მეორე მხარისათვის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის შემდეგ. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილ იქნას წერილობითი ფორმით რეგისტრირებული წერილით, ფაქსით, ტელექსით, ელ. ფოსტით ან სხვა სწრაფი კომუნიკაციის საშუალებით მეორე მხარის მიერ რეკვიზიტებში მითითებულ მისამართზე. ამ შემთხვევაში პრემიის გაანგარიშება მოხდება იმ პერიოდზე რა პერიოდშიც მოქმედებდა დაზღვევის ხელშეკრულება.

წინამდებარე პუნქტი შეიძლება ამოღებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული ადგილობრივი კანონმდებლობით.

D.1.4 დაზღვევის მოშლა

ამ ამ პოლისით გათვალისწინებული ნებისმიერი სარგებელი ჩაითვლება ძალადაკარგულად თუ:

- (i) დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაზღვევის ან/და ზიანის დადგომის განაცხადი მოხდება სიყალბის ან/და თაღლითობის გამოყენებით დაზღვევისაგან დაუმსახურებელი სარგებლის მიღების მიზნით;

ან

- (ii) თუ ზარალი იქნება უარყოფილი და შესაბამისი გასაჩივრება არ მოხდება უარყოფის დაფიქსირებიდან სამი თვის განმავლობაში.

D.1.5 სუბროგაცია (ერთი კრედიტორის ჩანაცვლება მეორეთი)

ამთუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების რეალიზებაში.

დამზღვევის (დაზღვეული, მოსარგებლე) მიერ სუბროგაციის მოთხოვნათა შესრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება იმ ოდენობით, რამდენიც მზღვეველს შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

D.1.6 ორმაგი დაზღვევა

თუ დაზღვეული ქონებისათვის ზიანის დადგომის შემდეგ გამოვლინდება, რომ არსებობს სხვა დაზღვევაც, რომელიც ასევე ფარავს დამდგარ ზიანს (არ აქვს მნიშვნელობა სრულად თუ ნაწილობრივ), ამ შემთხვევაში მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს მხოლოდ თავისი იგივე რისკში მონაწილეობის პროპორციულად.

D.1.7 ცვლილებები და აღმოფხვრა

ქვემოთ მზღვეველის წერილობითი თანხმობის საფუძველზე დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევა ზარალის დადგომამდე, თუ:

- (i) თუ ვაჭრობის ფორმა, ქირავნობა ან სხვა გარემოება შეიცვლება ისე რომ გავლენას მოახდენს შენობაზე რომელიც დაზღვეულია ან სადაც მოთავსებულია დაზღვეული საქონელი და გაზრდის მათზე ზარალის

დადგომის რისკს;

- (II) თუ დაზღვეული ქონება მიტოვებული იქნება 30 დღის განმავლობაში;
- (iii) თუ დაზღვეული ქონება გადაადგილებული იქნება ისეთ ადგილას რომელიც ან/და სადაც მასზე არ ვრცელდება წინამდებარე დაზღვევა;
- (iv) თუ სადაზღვეო ინტერესი გადავა დაზღვეულიდან სხვა პირზე გარდა ანდერძით ან სხვა კანონისმიერი გზით.

D.1.8 ანაზღაურების მოთხოვნა

თუ დადგება შემთხვევა, რომელიც გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, ამ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია:

I დაუყოვნებლივ

- (i) მიიღოს ზომები ზიანის შემცირებისთვის და აღადგინოს ქონების დანაკლისი
- (ii) წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ამის თაობაზე 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში
- (iii) შეატყობინოს პოლიციას თუ მოხდება ქურდობა ან ქურდობის მცდელობა ან განზრახულია სხვა ზიანის მიყენება

II 30 დღის განმავლობაში მიაწოდოს მზღვეველს:

- (i) წერილობითი მოთხოვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს ზარალის დეტალურ აღწერას, რაოდენობას და ზარალის დადგომის მომენტში გათვალისწინებული უნდა იქნას დაზიანებული ქონების ღირებულება.
- (ii) დეტალური ინფორმაცია სხვა დაზღვევის შესახებ, თუ ასეთი არსებობს.
დამზღვევი ვალდებულია თავის ხარჯზე მიაწოდოს მზღვეველს ყველანაირი შემოთხსენებული დეტალები, გეგმები, სფეციფიკა, წიგნები, ინვოისები, ასლები, დოკუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები და ყველანაირი ინფორმაცია მოთხოვნასთან დაკავშირებით. ასევე ზარალის მიზეზი და გარემოება რომელშიც ზარალი დადგა, ასევე ყველა საკითხი რაც ეხება მზღვეველის პასუხისმგებლობას რაც შეიძლება მოთხოვნილ იქნას
- (iii) მზღვეველმა უნდა მიაწოდოს დამზღვევეს (დაზღვეულს ან მის კანონიერ მემკვიდრეს) პასუხი თანხის ანაზღაურებაზე ან უარზე 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ანაზღაურების გაცემაზე თანხმობის შემთხვევაში თუკი თანხა არ აღემატება 70 000 აშშ-ს ანაზღაურება მოხდება დოკუმენტაციის სრულად

მიღებიდან 20 კალენდარულ დღეში. თუკი ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 70 000 აშშ-ს და ზარალის ანაზღაურებაზე გაცემულია თანხმობა, ანაზღაურება მოხდება არაუგვიანეს 1 კალენდარული თვის ვადაში.

D.1.9 მზღვეველი უფლებამოსილია

ამ პოლისით დაზღვეული ნებისმიერი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია

- (i) დაიკავოს ის ქონება ან შენობა სადაც დადგა ზარალი
- (ii) დაიკავოს ან მოითხოვოს რომ მიტანილ იქნას დაზღვეულ შენობებში ზარალის დადგომის დროს არსებული ქონება
- (iii) დაიკავოს ასეთი ქონება და შეისწავლოს, დაახარისხოს, წესრიგში მოიყვანოს და ა.შ.

(iv) გაყიდოს გაყიდოს ასეთი ქონება ან დააკისროს იგივე იმას ვისაც ეს ეხება. მოცემული პირობები შეიძლება განხორციელებული იქნას მზღვეველის მიერ ნებისმიერ დროს მანამ, სანამ დამზღვევი წერილობით არ შეატყობინებს მას, რომ დამზღვევს აღარ აქვს პრეტენზია პოლისთან დაკავშირებით, ან თუ პრეტენზია არის წარდგენილი მანამდე, სანამ ზარალი საბოლოოდ არის დადგენილი ან გამოთხოვილი და ამავე დროს მზღვეველს ჯერ არ აქვს გამოყენებული არცერთი ზემოთხსენებული უფლება.

თუ დამზღვევი ან მისი სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს მზღვეველის მოთხოვნებს, ან ხელს შეუშლის ან გაართულებს მზღვეველის საქმიანობის განხორციელებას, დაზღვევის პოლისით განსაზღვრული ყველაანარი სარგებელი ჩამორთმეული იქნება.

დაზღვეულს არცერთ შემთხვევაში არა აქვს უფლება მიატოვოს ქონება მხოლოდ მზღვეველის განკარგულებაში მნიშვნელობა არა აქვს მზღვეველს უკვე დაკავებული აქვს დაზღვეული ქონება თუ არა.

D.1.10

შეკეთება და შეცვლა

მზღვეველი უფლებამოსილია თავის ხარჯზე შეაკეთოს ან შეცვალოს დაზიანებული ქონება ან მისი ნაწილი, თანხის გადახდის მაგივრად, ან შეუძლია ეს გააკეთოს სხვა მზღვეველებთან შეთანხმებით, მაგრამ მზღვეველი არ იქნება ვალდებული ბოლომდე და ზუსტად შეკეთებისთვის, არამედ როგორც გარემოება დართავს მას ნებას. არანაირ შემთხვევაში არ არის მზღვეველი ვალდებული დახარჯოს უფრო მეტი დაზიანებული ქონების შეკეთებაზე ვიდრე დაჯდებოდა ასეთივე ქონების შეკეთება ზარალის დადგომის დროისათვის ან გადაიხადოს სადაზღვევო თანხაზე მეტი.

თუ მზღვეველი გადაწყვეტს ქონების შეცვლას ან შეკეთებას, დამზღვევი თავის ხარჯზე მოამარაგებს გეგმებით, ტექნიკური პირობებით, აზომვებით, რაოდენობით და სხვა მსგავსი დეტალებით რომელიც შეიძლება მოითხოვოს მზღვეველმა. არაფერი არ შეიძლება გაკეთდეს ან გახდეს მიზეზი იმისა, რომ მზღვეველის სურვილი იყოს შეკეთება ან შეცვლა. შეკეთება ან შეცვლა მოიაზრება როგორც მზღვეველის თავისუფალი არჩევანი.

იმ შემთხვევაში თუ მზღვეველს არ შეუძლია, რომ შეაკეთოს ან შეცვალოს

დაზღვეული ქონება, იმიტომ რომ მუნიციპალური ან სხვა წესების გამო რომელიც ეხება მიწას, შენობების აშენებას, ან სხვა შემთხვევას მზღვეველი სხვა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იქნება პასუხისმგებელი რომ გადაიხადოს ის თანხა რომელიც საჭირო იქნებოდა დაზღვეული ქონების შეკეთების ან შეცვლისათვის.

D.1.11 დროის ლიმიტი

მიუხედავად მზღვეველის პასუხისმგებლობისა მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისაგან თუ ზარალის დადგომიდან გასულია 12 თვე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავა სასამართლოს განხილვის საგანია.

D.1.12 გონივრული ზომები

დამზღვევი თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს დაკავშირებულს სიფთხილის ყველანაირ ზომების მიღებასთან და იღებს ყველანაირ გონივრულ რჩევას მზღვეველისაგან, რათა აიცილოს თავიდან ზარალი ან დაზღვეული ქონების განადგურება და ასრულებს ყველა დადგენილ მოთხოვნილებებს და მწარმოებლის რეკომენდაციებს.

D.1.13 კანონის არჩევა და იურისდიქციის დებულება

ეს ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან წარმოშობილ დავებზე წერილობით, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით *), დავები უნდა გადაწყდეს საქართველოს კომპეტენტური სასამართლოების ექსკლუზიური იურისდიქციით. თუ მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟზე წარსადგენად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

*) გარდა კანონით სხვა არჩევანისა, იურისდიქციაზე, მხარეთა წერილობითი თანხმობით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

D.1.13.1

მემორანდუმი

სარგებლის გადაცემა:

თუ დაზღვეული შენობის განადგურების ან ზარალის დადგომის დროს, დამზღვევეს გადაწყვეტილი ქონდა ამ შენობის გაყიდვა, რაც ჯერ არ იყო განხორციელებული, მყიდველზე გაყიდვის დამთავრების შემდეგ, თუ ქონება არ არის დაზღვეული მყიდველის მიერ დაზიანების და განადგურებისგან, მასზე გადადის ამ პოლისით სარგებლობის უფლება, როგორც ამ დრომდე ეს ეხებოდა ამდგვარ განადგურებას ან ზარალს.

D.1.14 სანქციის პირობა

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების

რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).